თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 4

ქ.თელავი 23. 03. 2020 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილი თვალიაშვილი.**

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები''-ს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ქიზიყელაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ლევან ზერძენაშვილი.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №17 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაოზაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. ნ. ხვისტანი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №16 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაოზაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. ნ. ხვისტანი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაოზაზე

   მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: 1 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №17 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა წარმოადგინა მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი და აღნიშნა რომ განსახორციელებელი ცვლილება მისაღებია.
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ნორმატიული აქტის პროექტს.

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს:2 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №16 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: როგორც კომიის თავმჯდომარემ აღნიშნა აღმასრულებელმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის (N5717-IIს) მე-2 მუხლის თანახმად, „მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირი, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების დროისთვის საჯარო მოხელეები ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები არიან, ამ კანონის ამოქმედებისთანავე ჩაითვალონ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად". აღნიშნული მუხლის შესაბამისად, მერის ბრძანების საფუძველზე თელავის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების და თელავის მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებული პირების პოზიციები გარდაიქმნა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაკავებელ პოზიციებად. თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში პოზიციების გარდაქმნის შედეგად, გახდა საჭირო ამ ცვლილების ასახვა, რაც მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებაში, აღნიშნული სამსახურის ფუნქციების ცვლილებას გულისხმობს. მან ასევე აღნიშნა რომ კომისია მხარს დაუჭერს წარმოდგენილ პროექტს.

გადაწყვიტეს: წარედგინოს ცვლილების პროექტი ბიუროს სხდომას, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს: 3 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ ცვლილება გამომდინარეობს გარკვეული პოზიციებზე ამინისტრაციული ხელშეკრულებითი ურთიერთობის შემოღებას, რაც შესაბამისად გამოიწვევს საშტატო ნუსხაში ცვლილებასაც.

კომიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ ცვლილებას.

გადაწყვიტეს: წარედგინოს ცვლილების პროექტი ბიუროს სხდომას, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: ნანა ხვისტანი